სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/23

ქ. თბილისი

20 იანვარი 2020

სტუ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, მე-17[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 იანვრის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. არჩეულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ (პრეზიდენტი), ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ წარმოდგენილი არჩილ ფრანგიშვილის კანდიდატურა;
2. შეუდგეს იგი უფლებამოსილებას 2020 წლის 15 თებერვლიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე **გ. ჭოხონელიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**